(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

ე თ ი კ ი ს კ ო დ ე ქ ს ი

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი #2 24.02.2020

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

ოქმი #1 05.03.2021

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

ოქმი # 4 26.02.2024

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: პროფესორი მ. ღარიბაშვილი

თელავი

2020

პრეამბულა

ეთიკის კოდექსი აღწერს უნივერსიტეტის ეთიკის პრინციპებსა და სტანდარტებს, მისი სრულფასოვანი დაცვა და შესრულება უნივერსიტეტის მდგრადობისა და წარმატების აუცილებელი პირობაა.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამები, საუნივერსიტეტო დებულებები მიმართულია იმისკენ, რომ სტუდენტს მისცეს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მას აქცევს სამართლებრივი, დემოკრატიული, ჰუმანური, მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოების ღირსეულ წევრად. ამ შედეგის ეფექტურად მიღწევა შესაძლებელია თითოეული სტუდენტის, ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის საერთო ძალისხმევით. ეს განაპირობებს უნივერსიტეტში პარტნიორული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რისი ხელყოფაც ქმნის საერთო მიზნების მიღწევის საფრთხეს და, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს წინამდებარე კოდექსის დებულებების გათავისებით

ეთიკის კოდექსი განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ეთიკის სტანდარტებითა და პრინციპებით მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები ვალდებულნი არიან იმოქმედონ ეთიკის პრინციპების შესაბამისად. უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ზომები იქნება მიღებული ნებისმიერი არაეთიკური ქმედების წინააღმდეგ.

მუხლი 1. სამართლებრივი საფუძვლები

ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

ეს კოდექსი ვრცელდება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე (შემდგომში პერსონალი) და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს.

ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი დებულებები

მუხლი 3. დისკრიმინაციის აკრძალვა

უნივერსიტეტში აკრძალულია ყველა სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

მუხლი 4. თანასწორუფლებიანობა

უნივერისტეტის თითოეული წევრი თანასწორია ერთმანეთისა და კანონის წინაშე. უნივერსიტეტის ნებისმიერი წევრი ვალდებულია სხვა წევრების მიმართ გამოირჩეოდეს თავაზიანობით, კოლეგიალურობითა და ეპყრობოდეს მას როგორც თანასწორს.

მუხლი 5. უკანონო სარგებლის მიღების ან/და მოთხოვნის დაუშვებლობა

უნივერსიტეტში აკრძალულია ფულის, ფასიანი ქაღალდის, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა უნივერსიტეტის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ.

მუხლი 6. ძალადობის დაუშვებლობა

აკრძალულია ნებისმიერი სახის ძალადობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა სტუდენტების ან პერსონალის მიმართ;

ეთიკის კოდექსის დანიშნულება

მუხლი 7. ეთიკის კოდექსის დანიშნულება

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი აღწერს უნივერსიტეტის ეთიკის პრინციპებსა და სტანდარტებს, კერძოდ:

ა) ადგენს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ქცევის სტანდარტებს, უნივერსიტეტის ღირებულებების, კანონმდებლობისა და მარეგულირებელი წესების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს (ინტელექტუალური თავისუფლება, საგანმანათლებლო და კვლევითი კონტექსტი);

გ) იცავს რწმენის, გამოხატვის, დისკუსიისა და კვლევების თავისუფლებას;

დ) ადმინისტრაციულ/აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს აწვდის იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკის სტანდარტების შესაბამისად;

მუხლი 8. ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დაცვა

ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვა უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამშრომლის ვალდებულებაა. უნივერსიტეტის პერსონალი/სტუდენტები ვალდებულნი არიან იმოქმედონ უნივერსიტეტის ეთიკის სტანდარტების შესაბამისად.

პერსონალის ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკის სტანდარტები

მუხლი 9. აკადემიური პერსონალი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების ძირითადი მოვალეობაა კეთილსინდისიერად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ:

ა) სასწავლო პროცესი წარმართონ უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით;

ბ) გაუწიონ სტუდენტებს ინტელექტუალური დახმარება და აკადემიური ხელმძღვანელობა.

მუხლი 10. კოლეგებთან ურთიერთობა

პერსონალი ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა განახორციელოს ეთიკის ნორმებზე დაყრდნობით;

ბ) საქმიანობა წარმართოს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით;

გ) თავიდან აირიდოს კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება;

დ) დაიცვას საუნივერსიტეტო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც ცნობილი გახდა მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

ე) პატივი სცეს სტუდენტებს, დაიცვას სტუდენტების აკადემიური თავისუფლება და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ზრდას;

ვ) სტუდენტების შეფასებისას დაეყრდნოს ობიექტურობის, სამართლიანობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს.

ზ) კოლეგებთან ურთიერთობისას ემყარებოდნეს ეთიკის ნორმებს;

თ) ობიექტურად შეაფასოს კოლეგების სამეცნიერო ნაშრომები, შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს პროფესიული და ეთიკის ნორმების სრული და ობიექტური დაცვით, ასევე არ დაუშვას სუბიექტურობა კოლეგების საქმიანობის შეფასებისას და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად;

ი) შეგნებულად არ დაუშვას კოლეგის შეხედულების არასწორად გავრცელება;

კ) დაიცვას სამეცნიერო მუშაობის ეთიკის ნორმები, არ დაუშვას პლაგიატი საკუთარ ნაშრომზე მუშაობისას;

სტუდენტთა ეთიკის წესები

მუხლი 11. სტუდენტთა ეთიკის წესები:

სტუდენტები ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა, უნივერსიტეტის წესდება, ეთიკის კოდექსი და სხვა მარეგულირებელი წესები;

ბ) პატივი სცენ და სამართლიანად მოეპყრან სხვა სტუდენტებს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს.

მუხლი 12. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები

სტუდენტის მიმართ კოდექსით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შემდეგი წესების დარღვევის შემთხვევაში:

ა) დაგვიანება ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.

ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, ლექციის ჩაშლის მცდელობა, აშკარა უპატივცემულობა ლექტორის მიმართ, მობილური ტელეფონით სარგებლობა ლექციის მიმდინარეობისას, დერეფანში გადამეტებული ხმაური და სხვა);

გ) ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეგავლენის მოხდენა შეფასების მიღების მიზნით;

დ) გამოცდაზე ქცევის წესის დარღვევა გამოცდის მიმდინარეობისას;

13. აკადემიური სიყალბე

1.სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე:

ა) აკადემიური თაღლითობა (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალიდან; სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლითაც სარგებლობა არ არის წინასწარ ნებადართული);

ბ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრიდან გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან/და მისი ნაწილის საკუთრად გასაღება);

გ) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;

დ)უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან/და დოკუმენტების არასრულად წარდგენა;

ე) საუნივერსიტეტო მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება;

ვ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

ზ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;

თ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება;

ი) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;

კ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

2. ეთიკის ნორმის დარღვევის ფაქტის აღმოჩენისას სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს.

14. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

ეთიკის წესების დარღვევად მიიჩნევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

ა) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ნივთიერების ან/და ალკოჰოლის მოხმარება/გავრცელება;

ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღით, ასაფეთქებელი ან საშიში ნივთიერებებით გადაადგილება;

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა.

დ) იმგვარი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;
თ) საჯაროდ ბილწსიტყვაობა;

ე) ძალადობა, ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის.

ვ) სიგარეტის მოწევა საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ზ) უნივერსიტეტის სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; აგრეთვე სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, აგრეთვე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით, მუქარით ან ძალადობით;

თ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ი) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

კ) დისკრიმინაციული ქმედება, სექსუალური ან სხვა სახის ძალადობა;

ლ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.

მ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა

მუხლი 15. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა

ეთიკის კომიტეტის შემადგენლობაში შედის უნივერიტეტის ყოველი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი კვოტით - 2 პირი და სტუდენტი- კვოტით 1 პირი.

მუხლი 16. ეთიკის კომიტეტის წევრთა უფლებამოსილების ვადა

უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტში წევრების არჩევა ხდება 4 წლის ვადით, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №1 05.03.2021წ.)

მუხლი 17. აკადემიური პერსონალის კანდიდატურის წარდგენის უფლება

1.ეთიკის კომიტეტში შემავალი აკადემიური პერსონალის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამ წევრს. წარდგენილი კანდიდატურებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალი ხმათა უმრავლესობით ირჩევს ეთიკის კომიტეტის ორ წევრს.

2. თუ წარდგენილი კანდიდატურებიდან ვერცერთმა ვერ დააგროვა საჭირო ხმათა რაოდენობა, მესამე სამუშაო დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატურები (ორი კანდიდატურა).

3.თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ინიშნება ახალი არჩევნები.

მუხლი 18. სტუდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლება

1. ეთიკის კომიტეტში შემავალი სტუდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს შესაბამისი ფაკულტეტის სამ სტუდენტს, რომელებმაც უნდა წარადგინონ ერთი კანდიდატი. წარდგენილი კანდიდატურებიდან, ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები, ხმათა უმრავლესობით ირჩევენ ეთიკის კომიტეტის წევრს.

2. თუ წარდგენილი კანდიდატურებიდან ვერცერთმა ვერ დააგროვა საჭირო ხმათა რაოდენობა, მესამე სამუშაო დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ და მეორე ადგილზე გასული სტუდენტები.

3.თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ინიშნება ახალი არჩევნები.

მუხლი 19. ეთიკის კომიტეტი

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წარდგინების საფუძველზე არჩეულ წევრებს წარუდგენს ეთიკის კომიტეტს.

2. ეთიკის კომიტეტი:

ა) შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს 4 წლის ვადით;
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №1 05.03.2021წ.)

ბ) შემადგენლობიდან, თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე, ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს;

გ) იკრიბება კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ეთიკის კომიტეტის მიერ დისციპლინური წარმოების წესი

მუხლი 20 . დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა

პერსონალის ან სტუდენტის ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე განცხადების/საჩივრის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ პერსონალსა და სტუდენტს, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე.

მუხლი.21 დისციპლინური წარმოება

1.კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტი.

3. ეთიკის ნორმის შესაძლო დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი იწერება უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, რომელიც ქვემდებარეობით განსახილველად გადაეცემა ეთიკის კომიტეტს.

4. ეთიკის კომიტეტში შემოსული განცხადებების/საჩივრების რეგისტრაციასა და სხვა დოკუმენტაციის წარმოებას ახდენს კომიტეტის მდივანი.

5. ეთიკის კომიტეტმა, ეთიკის ნორმის შესაძლო დარღვევის გამო, საკითხის განხილვისას, უნდა იხელმძღვანელოს კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

6. კომიტეტი უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება კომიტეტის წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

7. საჩივრის/განცხადების მიღების შემთხვევაში კომიტეტი ვალდებულია გაეცნოს განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს და 5 სამუშაო დღის ვადაში ჩანიშნოს სხდომა.

მუხლი 22. პერსონალის/სტუდენტის უფლებები დისციპლინური წარმოებისას

1.დისციპლინური წარმოების დაწყებისას პერსონალს/სტუდენტს უფლება აქვს:

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით;

გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) გაასაჩივროს ეთიკის კომიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით.

2. ეთიკის კომიტეტი ვალდებულია პერსონალს/სტუდენტს მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია დისციპლინური წარმოების დაწყებისას და მისცეს მათ გონივრული ვადა მოსაზრებების წარმოსადგენად;

მუხლი 23. სხდომის წარმოება

1.სხდომაზე საკითხის განხილვისას სავალდებულოა ორივე მხარის მოწვევა. დაინტერესებული მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე საკითხის განხილვა შესაძლოა მოხდეს მის დაუწსრებლად.

2.სხდომას უძღვება თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.

3.ეთიკის კომიტეტის სხდომაზე პირველი გამოდის მომჩივანი/განმცხადებელი და აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, შემდეგ, იგივე პირობებით პოზიციის დაფიქსირების უფლება ეძლევა მეორე მხარეს. სხდომაზე მხარეებს შესაძლებლობა აქვს ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.

4. ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს სადავო ქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა/განმარტება.

5. ეთიკის კომიტეტი ვალდებულია სხდომაზე სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შეაფასოს მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

6. მონაწილე მხარის მიერ საპატიო მიზეზის წარდგენის შემთხვევაში საქმის განხილვა შესაძლოა შეჩერდეს დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრამდე.

7. ეთიკი კომიტეტი ვალდებულია საქმის განხილვის დაწყებიდან, 20 კალენდარული დღის ვადაში, შეიმუშაოს წერილობითი დასკვნა ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტის ან დარღვევის

ქ. ინ

ფაქტის არარსებობის შესახებ. დასკვნა უნდა აცნობოს მონაწილე მხარეებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

8. კოდექსით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში ეთიკის კომიტეტი წარუდგენს დასკვნას და რეკომენდაციას უნივერსიტეტის რექტორს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დისციპლინური სახდელის ზომის შესარჩევად.

მუხლი 24. ეთიკის კომიტეტის ყოველწლიური ანგარიში

1.ეთიკის კომიტეტი შეიმუშავებს ყოველწლიურ ანგარიშს და წარადგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში. ანგარიშში ასახული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ა) ეთიკის საკითხებში უნივერსიტეტის თანამშრომლების ცოდნის შემოწმების მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები;

ბ) ეთიკის საკითხების განხილვის მიზნით პროფესორ-მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წევრებთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ჩატარებული შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების რაოდენობა;

გ) ყოველწლიურად შემოსული განცხადების/საჩივრების განხილვისა და გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებების რაოდენობა;

დ) სასამართლოში წარმართული საქმეების რაოდენობა უნივერსიტეტში წამოჭრილ ეთიკის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით;

2. ეთიკის კომიტეტი, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციისა და განხილვის საფუძველზე იღებს წინადადებებს ეთიკის კოდექსის სრულყოფის მიზნით.

3.ეთიკის ახალი ნორმების ასახვის მიზნით ეთიკის კოდექსის გადასინჯვა-განახლება მოხდება სამ წელიწადში ერთხელ.

4. ეთიკის კომიტეტის მიერ, ეთიკის ქცევის სტანდარტის დამკვიდრების მიზნით, უნივერსიტეტში მოეწყობა ტრენინგები.

მუხლი 25. ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;

ბ) უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა,თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება ან სტუდენტის სტატუსის შეჩერება / შეწყვეტა.

2. ეთიკის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყველიტებას იღებს ეთიკის კომიტეტი.

სანქციები

მუხლი 26. დისციპლინური სანქციები

1. დისციპლინური სანქციები სტუდენტებისათვის:

ა) ზეპირი/წერილობითი გაფრთხილება/საყვედური

(ცვლილება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #4 26.02.2024)

ბ) არამართლზომიერად მიღებული შეფასების გაუქმება/მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმება;

(ცვლილება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #4 26.02.2024)

გ) ფულადი ჯარიმა უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში.

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

(ცვლილება დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #4 26.02.2024)

2. დისციპლინური სანქციები პერსონალისთვის:

ა) ზეპირი/წერილობითი გაფრთხილება;

ბ) საყვედურის გამოცდახება;

გ) ფულადი ჯარიმა უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში.

დ) *ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #4 26.02.2024)*

ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

3. პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შრომითი კონტრაქტის შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც უნივერსიტეტთან შემდგომ თანამშრომლობას შეუძლებელს ხდის.

გარდამავალი დებულებები

მუხლი 27. ძალაში შესვლა

1. ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ეთიკის კოდექსი ძალაშია დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/